№ 248 ნოემბერი 27, პარასკევი 1887 ნოემბერი 27, პარასკევი № 248

ბიბლიოთეკა

ივერია

გაზეთი ღირს

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად: ქალაქ. განცხადებანი დასაბეჭდად უნდა მივმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზაროთაგან ქეჩრეზედ, სახლი № 9, ბ. ნიდდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიბოედოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

ტფილისი, 26 ნოემბერი.

ამ ორიოდე თვის განმავლობაში საფრანგეთმა იმდენი მძიმრობა, სიცხოველე და მოდვაწეობა გამოიჩინა, რამდენსაც სხვა რომელიმე ერი ათისა და ოცის წლის განმავლობაში ვერ გამოიჩენდა. ყველა დიდის ყურადღებით შესცქეროდა საფრანგეთს; ზოგი ეშვის თვალით უყურებდა რესპუბლიკის სიმკვიდრეს, ზოგს სწამდა რესპუბლიკის ხანგრძლივობა. ყველა სახელმწიფოები გულის ძკერით შეჰყურებდნენ საფრანგეთის მდგომარეობას, რადგანაც იმის პოლიტიკურის წეს-წყობილების სიმკვიდრე თუ უძლურება ასე თუ ისე შესცვლის სახელმწიფოთა ერთი-ერთმანეთრთნე დამოკიდებულებას და, მაშასადამე, საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობასაც. თუ დღემდის ზოგთათვის საეჭვო იყო რესპუბლიკის სიმტკიცე, დღეის ოქთ-კი ერთი საბუთი მაინც გამოაკლდება იმ ეჭვიანობას, რადგანაც უმთავრესად ძნელი საქმე, საპრეზიდენტო კრიზისი, მშვიდობიანად დასრულდა; საამსახურიდგან გადადგა გრევი და იმის მაგიერ არჩეულ იქმნა სადი-კარნოთ. მართალია, პარიეში დიდი მოძრაობა იყო, დიდს მოუსვენრობასა და სიფიცხეს ინერნდნენ სხვა-და-სხვა საპოლიტიკო დასები, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, რაიცა მიმართული ყოფილიყოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. თვით გრევისაც კარა სწამდა, რომ ყოველივე ასე მშვიდობიანად დასრულდებოდა. მართალია, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ რესპუბლიკას შემდეგში კიდევ რაიმე ხიფათი შეემოხვევა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ გაუშვეს ხელიდან მარჯვე დრო, როცა იმათ შეეძლოთ მომტეხელი ოსტატობა და ხერხი გამოეჩინათ.

ეხლა უეჭველია, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოები მეტს რწმენას ადმოუჩენენ საფრანგეთს, რადგანაც რესპუბლიკა შეურყეველი დარჩა, თუმცა იმისი შერყევა, ზოგიერთის აზრით, შესაძლებელი იყო. უპირველესად გერმანიას გულში ლახვრად მოხვდება საპრეზიდენტო კრიზისის მშვიდობიანად დასრულება, რადგანაც ვიდრე საფრანგეთში რესპუბლიკა მკვიდრად არსებობს, მანამდე გერმანია, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ შესძლებს საფრანგეთს მოურიგდეს. გერმანიისათვის ბევრად უკეთესი იქმნებოდა, საფრანგეთში მონარქია დაწესებულიყო, რადგანაც მაშინ მართებლობის ზოგიერთა ხელმძღვანელთა ხმის მეტი მნიშვნელობა ექმნებოდა საპოლიტიკო საქმეებში, ვინემ ერისას. იმ დროამდეკი, სანამ რესპუბლიკა არსებობს და სანამ ერის კრებობა-გონება თავის უფფალად მუშაობს, გერმანიისათვის მოუხერხებელია დაუახლოვდეს საფრანგეთს და თავდამ აიცდინოს წარსულის გამარჯვების სამაგიერო. ვიმეორებთ, ძნელია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ დღეის იქით რესპუბლიკა საფრანგეთში მუდმივი და შეურყეველი იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც მეტს გასძლებს რესპუბლიკა და რაც მეტს ხიფათს აიცდენს, მით უფრო გაძლიერდება და დამკვიდრდება.

გერმანიაში ბევრს არ ესიამოვნა საპრეზიდენტო კრიზისის მშვიდობიანად დასრულება; ზოგი ამბობს, რომ სადი-კარნოს არჩევა ერთის რომელისამე დასის საქმეა და, მაშასადამე, სადი-კარნოს პრეზიდენტობა ხანგრძლივი არ იქნებაო.

მას აქედ, რაც ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ბისმარკი, გერმანიისა და ავსტრიის განწყობილებამ რუსეთთან ცოტათი არ იყოს ფერი იცვალა. წინადა-კი, როგორც მკითხველებმა უწყიან, გერმანიისა და ავსტრიის სამმართველო წრეები და საპოლიტიკო მწერლობა დიდის ეშვით უყურებდნენ რუსეთს, გერმანიამ სასტიკი ეკონომიური ბრძოლა გამოუცხადა რუსეთსავე, სხვა-და-სხვა საფინანსო და საეკონომიო საბუალებითა. მკითხველებს, უეჭველია, არ დავიწყებიათ კალნოკის გაბედული სიტყვა ბოლგარიის საქმის შესახებ. მას შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა იმპერატორი ვილჰელმი და ბისმარკი და უცბად სხვა ქარმა და ჰბერა. ერთსა და იმავე დროს კილო შესცვალეს რუსეთის მწერლობამაც და ავსტრიისამაც. ზოგიერთი რუსული გაზეთები, რომელებიც ჭეოცხვდნენ ბისმარკის პოლიტიკასა, დღეს დადადებენ, რომ რუსეთისა და გერმანიის კავშირი მოსახერხებელი და სასურველია. ავსტრიელი გაზეთებიც ამბობენ, რომ ამას იქით რუსეთისა და ავსტრიას შორის მეგობრობა დამკვიდრებულიაო; ამ ორი სახელმწიფოთა შორის ომი არც სასურველია და არც ხელს მისცემს არც ერთისა და არც მეორესაო.

ეს ყოველივე დიადაც სასიამოვნო აზრები და იმედებია, მაგრამ, ჩვენს აზრით, ისტორიულად დადკენილს და განმტკიცებულს განწყობილებას სახელმწიფოთა შორის ძირეულად ვერ შესცვლის ვერავითარი გენიოსი-პოლიტიკოსი. შესაძლოა დრომდე ან შეაჩერონ საქმეთა მსვლელობა და ან ააჩქარონ, მაგრამ ძირეულად შეცვლა ისტორიის გზისაკი სრულიად მოუხერხებელი საქმეა. ამ აზრს დაადგება ყველა, ვინც გაიხსენებს საზოგადოდ ევროპის პოლიტიკის ხასიათსა.

ა. ს—ი

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 25-ს ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა ფრიად საყურადღებო საქმე ეკატრის პაველე ასლანოვისა, რომელსაც ბრალდებოდა გერმანელის ქალის მინა კრუმმერგის ორჯელ მოწამლვა. აი, საქმე როგორა ყოფილა: მინა კრუმმერგისა ამ შეიდის წლის წინად პეტერბურგიდამ ჩამოსულა და ვიღაც კამოვეის ოჯახში დამდგარა ყმაწვილების აღმზრდელად. ამ ქალს დაახლოებია პაველე ასლანი, რომელიც შეჰპირდა თურმე ცოლად შერთვასა და კიდეეც დანიშნა. ამასობაში ასლანოვმა კიდეეც შეაცდინა თურმე ყმაწვილი ქალი და შვიდი წელიწადი იცხოვრა მასთან. ასლანოვს კრუმმერგისათვის ხელ-წერილი მიუცია, რომ თუ ეინიკობაა ცოლად არ შეგირთე და მიგატოვეო, მაშინ ეალდებული ვარ სამაგიეროდ ათასი მანეთი მოქცეო. გასულა დრო და ჟამი, და ასლანოვსაც მოსწყენია მინასთან ცხოვრება; განუზრახავს ცოლის შერთვა და მინას თავიდამ მოშორება. ამიტომ ასლანოვს ორჯელ მოუწამლავს დარიშხანით. პირველად ასლანოვს ქალი დაუთანხმებია, ნუ მიჩიენლეო, მაგრამ როდესაც ასლანოვს ხელ-მეორედ მოუწამლავს, საბრალო ქალს მოუმართავს სასამართლოსათვის.

სასამართლოს წინაშე წარსდგა ჯერ კიდევ ახალგაზდა, ყმაწვილი, მაგრამ სრულიად დასუსტებული და დაუძლურებული ქალი. საბრალო ქალის აგებულება სრულიად გაფლრნა საწამლავს. სასამართლოში წაიკითხეს კრუმმერგის სნეულობის აღწერილობა; ქალს ასტეხია სისხლის ფაღარათი და ფილენჯის ქარი, შესჩეევია სეედის ქარი და სხვანი. ზოგიერთა სამუთებიდამ, რომელნიც წაიკითხეს სასამართლოში, აღმოჩნდა, რომ მინა კრუმმერგთან ბუნების წინააღმდეგ კაეშირი ჰქონიათ, რის გამოც საბრალო მსხეერპლს იარები გასჩენია უკანა ტანში და ამას გარდა ცუდი ავადმყოფობაც შეჰყრია.

სასამართლომ პაველე ასლანოვს თორმეტის წლით კატორგა მიუსაჯა.

*** ამას წინად მთავრობამ დაამ-

ფელეტონი

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო ნაწილები

წერილი მეშვიდე

(დასასრული*)

Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности А. А. Цагарели. Выпускъ 1-ый съ палеографической таблицей. Санктъ-Петербургъ.

წერილობითთა ნაშთთა შორის მე-V—IX ს., მოღწეულთა ჩვენამდე, 1883 წლამდე ცნობილნი იყვნენ მხოლოდ ლეგენდანი სასანიდების ფულებისა, აგრეთვე წარწერანი ტაძრებზე (მე-VII ს.), მაგ. ჯვრის მონასტერზე, მცხეთის ჰიდალპირ, და რამდენიმე ხელთ-ნაწერი უქრონიკონოდ. 1883 წლიდამ-კი, ესე იგი, ცაგარელის მოგზაურობიდამ სინასა და პალესტინაში, გვაქვს ორი პაპირუსის ნაშთი VII—VIII ს. და ათიოდე პერგამენტის ნაწერი VIII—IX ს., ეთარეა: სახარება, ფსალმუნი, ტიბიკონი, ქნულებანი წმ. მამათა, რომელთაგან იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნისელის, ბასილი დიდის და კირილე ალექსანდრიელის სიტყვებსა და ქადაგებათა ჟამის ქრონიკონი 864 და მეორეს—წმ. მამათა ქადაგებათა კრებულს ჟამის 925 წ. ორიე ეს ნაშთი დაწერილია ლავრასა შინა წმ. საბასი პალესტინას, ამ ქართულ მწერლობისათვის უფაქველესს ეკეკლესიაში. აქონიამდე-კი ქრონიკონით ცნობილ ნაშთთა შორის უფაქველესი იყო ჯრუეის სახარება (936 წლისა).

ამ ხანში მწერლობით მოღვაწეობის ბუდედ საქართველოში ითვლებოდნენ: მონასტერნი, რომელნიც დააარსეს 13 მამათა, მოსულთა სირიიდამ მე-VI ს., სამცხის საეანენი VIII—IX სს. და აგრეთვე ადგილ სამყოფელნი მეფეთა და კათოლიკოსთა. ამ გვარ ადგილებად საქართველოს გარე ითვლებოდნენ: პალესტინის მონასტერნი (ყოველად წმიდა ღვთის მშობლისა, წმ. ი. ნათლისმცემელისა და სხ.) და ბერძენთა საფარველნი სახლნი, რომელნიც დაარსა (V ს.) მეფის ძე მურვანიმ, ცნობილმა პეტრე ეპისკოპოსმა ბათუმისამ; საბას ლავრა მე-VII—IX სს.; სინა მე-VII საუკუნიდამ და ამის წინარე: საბერძნეთის ოლიმპი და კოსტანტინეპოლი, აგრეთვე ქართულნი მონასტერნი სირიასა და ტრაპაზუნტში.

მე-V—IX საუკუნემდე შესრულდა თარგმანი ბიბლიისა (ათონის ბიბლია 978 წლისა) და ამასთანავე საკმაო ნაწილი საეკლესიო წიგნებისა, ცხოვრება ქრისტიანობის პირველ მოციქულთა, მოღვაწეთა და წამებულთა ქართველთასა, ბერძენთა და სომეხთა უფეველია, მაშინვე შეადგოოეს და დასწერეს ისტორიული სახალხო გარდმოცემანი, ბიოგრაფიანი გამოჩენილ მოღვაწეთა და საქართველოს უფალთა და ყოველივე ეს ჩაიტანეს ქართლის ცხოვრებაში.

X—XII სს. ლიტერატურული ნაწარმოები აქამდე უჩვეულებრივად რაცხვამდე ადის. ამ დროს სამწერლო მოღვაწეობა, გარდა ხსენებულ ადგილებისა, დაიწყო კიდეე ტბეთში, ხახულსა, საფარასა, ოფიზასა, გელათსა და მარტყელში, კახეთს უმადლეს ხსენებულ ადგილებსა: ოქროპოსა, გრეშსა და სხ. აგრეთვე გარეშე საქართველოსა: იერუსალიმ მონასტერს ათონში (მე-X ს.), წმ. სვიმონ-დაუფლებელისა და ღვთის-მშობლის კალიპოს მონასტერში ალეპპოს ახლოს, შაბათაზე სირიაში, წმ. ჯერის მონასტერსა იერუსალიმში, სინაზე, გოლგოთას და პალესტინის სხვა მონასტრებში.

საქართველოს ლიტერატურისა და სამწერლო საქმისათვის საეალო საუკუნეებს (XIII—XVI), როდესაც სამწერლო და ხელოვნებითი ცხოვრება საქართველოში თითქმის სრულიად შეიხუთა, მაშინ პალესტინასა და სინაზე ბეჯითად დაიწყეს გამრავლება ქართული წიგნებისა და XVII—XVIII საუკუნეების განმავლობაში-კი სამწერლო საქმე შემოიფარგლა მარტო საქართველოში.

ხელთ-ნაწერებში, რომელიც დაწერილია პაპირუსზე, ტყავზედ, ბამბაკინსა და ქაღალდზე, შაფის მელნითა და წითელითა მე-VII—XVIII საუკ. განმაღლობაში, მოიპოვება შესანიშნავი, ძეირფასი და იშვიათი ნიმუშები ქართულის წერისა.

შემდეგ აეტორი ლაპარაკობს წერის ხასიათსა, განვითარებასა და ეკლესიურ ანბანებიდამ სამხედრო ანბანის წარმოდგომაზე და ამისთანავე განვითარებაზე ხელოვნებითის სამკაულისა ხსენებულ ნაშთებზე. მხატვარნი ხშირად ჰხატავენ ადგილობრივ ბუნებასა და ჰხაძავენ ადგილობრივ მხატვრობასა, ეს, რომელიც ეტყობა ოქროსა და ვერცხლისა ნაშთსა, ბიზანტიურსა (ათონისა), სპარსულს (ნაშთნი მე-XVI—XVIII საუკ.). განსაკუთრებული თვისება ქართულ სამხატვრო და სახუროთ-მოძღვრო კილისა არის: ტოტებისა, ყვავილებისა და ფოთლებისაგან გადახლართულ-დაწნული სამკაული.

თავის შესავალს ამ წიგნისას აეტორი ასრულებს საქართველოს სასკოლო და წიგნთ-საბეჭდავ—სატიპოგრაფიო საქმის განხილვით. სხვათა შორის გვაუწყებს ცნობებს შესახებ უმაღლესს სასწავლებლის დაარსება - გამართვისა ქალაქ გორში მე-XVII საუკუნეს. ამ სასწავლებელში ასწავლიდნენო: ორ ძველს ენასა (ალბდ ლათინურსა და ბერძნულსაო.), ფრანგულს ენასა, ლოდიკასა, რიტორიკასა და სხ. აქვე აეტორს მოჰყავს აზიის მუზეის კუთვნილ მეფე არჩილის „არჩილიანნიდამ“ სასწავლო საგანნი საქართველოს მოზარდ თაობისა; მაგ. „ენა და წაგნის ცოდნა, უცხო ქვეყნის ამბის მოსმენა, სხვა-და-სხვა ენის ცოდნა, მწიგნობრობა, თარგმნელობა, ღრმის სიტყვის აღვილ გამოთქმა, მწერა: ხუცურის და მხეღრულისა, მრგლოვანისა, ყვავის-ფეხილოვანი-

*) იხ. „ივერია“ № 242.

ტკიცა წესდება ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, რომელ-საც აზრად აქვს ხელი მოუმართოს ღარიბ შეგირდებს სასწავლებლებისას, რომელნიც ქ. ტფილისის ხარჯთა არიან გამართული. ეოტკ ხანში ეს დამტკიცებული წესდება განხილულ იქნება ქალაქის საბჭოს მიერ.

*** ამ ახლო ხანებში იუბილეი იქნება რომის პაპისა. მთელის ქვეყნის კათოლიკები დიდის ამბით ელიან ამ დღესასწაულს და მრავალ საჩუქარსაც აზიდვენენ ყოველის მხრიდამ. როგორც შეიტყეთ, რუსეთის მთავრობას ნება მოუცია თავისის კათოლიკე ქვეშერდომისათვის, რომ სარატოვის კათოლიკე ეპისკოპოზის ხელით გაუგზავნონ საჩუქარი თავიანთ პაპსა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ახალგაზდას დაუწერია ქართული მოთხრობა, სახელად „სამი მსხერპლი“, და მალე ცალკე წიგნად დაბეჭდვენებს.

*** ამას წინად მკითხველებს ეაცნობეთ, რომ ბ-ნი გუნია ჰბეჭდავს ქართულს ენაზედ ერცელს კალენდარს. ეხლა ჩვენ გვაცნობენენ, რომ, სხვა ღირსებასთან, ეს კალენდარი შემკული იქნება ორის სურათით— წმ. ნინოსი და მეფე ერეკლესი.

*** შაბათს, 28 ნოემბერს, „ტფილისის საბრანიაში“ გაიმართება სატანცო საღამო სასარგებლოდ დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისა. შემოსულის ფულით უნდა გაისტუმრონ სწავლის გარდასახადი იმ შეგირდებისა, რომელთაც სიღარიბის გამო არ შეუტანიათ.

*** თუშები განიყოფებიან ორ-თემად,—ქართველ თუშებად და ფო�d-თუშებად და შედგენენ სულ შვიდს სამაბასახლისოს. ფოგა-თუშები შედგენენ მხოლოდ ორსა. ფოგა-თუშები ქისტის მოდგმისანი არიან და ლაპარაკობენ შერეულს ქართულს-ქისტურს ენაზე, მაგრამ ქართველ თუშებთან მისელა-მოსელის, ნათესაობისა და

სა, ასო-მთავრულისა,—მხატერობა, მონახაზობა, ლეკსთ მთარგმელობა (ახსნა), გარდამაველით ხეშრობის აღ-ეილ შეტყობა, მოჩიერობა, სამართლის მართლის ქმნა, დიდი ბეობა, ანგარიში და რიცხეთ-ცობა, ჩაგდება, მეკენჭეობა, მეხტროლაბობა (ასტროლაბია)... ცრუდ თქმული მეგეკობა... ელჩობა, მოციქულობა, სიტყვის სწორად დასწავლა, მელექსობა, შაირის თქმა“...

აქვე მოჰყავს ცნობანი თელავის სემინარიასა და იმის განათლებულ რექტორ გაიოზზე. წიგნის ბეჭდვის საქმე მეფე ერეკლე მეორის ჟამს იმდენად კარგად იყო მომართულია, რომ მარტო ერთ მღვდელ ქრისტეფორე კეტერაშვილს მეფის ბრძანებისამებრ მე-90 წლებში X—VIII საუკ. ტფილისში აღუბეჭდია 7,400 ცალი სხვა-და-სხვა ნაირი წიგნი სასულიერო შინაარსისაო.

იმერეთში არსებობდნენ ტიპოგრაფიები ქუთაისში, სარხერეში, ცცეს'ში. აგრეთვე კრმენჩუგსა და მოზდოკში (მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრიდამ), ნოვგოროდსა და მოსკოვში. უფრო ადრე, მინამ საქართველოში, ქართული წიგნები იბეჭდებოდა რომშიო (მე-XVII საუკ.). ქართული წიგნები

იბეჭდებოდნენ პარიეში 1827 წლიდამ, შემდეგ ლეიბციგს, ვენას, ბერლინში, მონაოობანს, საცა კათოლიკეთა მისიონერნი ჰბეჭდავენ ქართულ წიგნებს დღესაცაო: გრამატიკასა, ლოცვანსა და სხვათა.

დასასრულ თავისის ერცელის „შესავალისა“ პატიეცემული და ღვაწლით შემოსილი პროფესორი (მოკლე დროს—1872 წლიდამ ბ-ნ ცაგარელს გამოუცია 15 თვისნი შრომანი და გამოკვლევანი შესახებ ქართულ ისტორიისა, ლიტერატურისა და ლინგვისტიკისა) ბრძანებს: „რამდენად არ იყვნენ გულს მოდგენენი და შრომის-მოყვარენი ორნი სპეციალისტნი (მ. ი. ბროსე და დ. ი. ჩუბინაშვილი) და სამიოდ-ოთხი სიბრძნის-მოყვარე მწერალნი (პ. ე. იოსელიანი, თაე. ბარათაეეი, დ. ზ. ბაქრაძე, დ. პ. ფურცელაძე, მეღვინეთ-ხუცესოი და სხე.), რომელნიც ამ მიმავალ საუკუნეს მეცნიერულად იძიებ-იკვლევდნენ ქართულს ენასა, ისტორიასა, ლიტერატურასა და სიძველეთ, მინც მათ ვერ შესძღეს ხაბოლოოდ გამოეძიათ მწერლობითნი და ნიუთიერნი ნაწმინი ქართველთ ტომის ორი ათას წლოვან ისტორიულს წარსულისა.

ლებაზე, რომელსაც დაადგა ექიმთა კომისია შესახებ მტკვარზე ჩასაეალებისა, საიდამაც მიაქეთ წყალი მცხოვრებთა სახმარებლად. კომისიას ამაუინჯაეს ჩასაეალები მტკვრის მარჯვენეაც და მარცხნეაც და აღმოჩინდა, რომ ჩასაეალი თითქმის ყველგან ისეთ ბინძურ ადგილებზეა, რომ რეგიანის წყლის ამოღება შეუძლებელია. ამის გამო კომისიას გარდაუწყეტია შემდეგი: მტკვრიდამ წყლის ამოღების ნება ჰქონდეთ მხოლოდ მუშტ იდისა და აბსერვატორიის ჩასაეალიდამ, იუნკერების სასწავლებლის ზემოდ, და მადათოოის კუნძულის ჩრდილო-აღმოსაელეთის მხრიდამა.

*** გაზ. „Тиф. Листокъ“-ი გვაცნობებს, რომ პარიეში გამოსულა ფრანგულს ენაზე პატარა წიგნი ბ-ნ ვ. თაიროიისა: „ეაზის მოყვანა კაეკაზიაში და კაეკასიური ღვინოები“.

წერილი ახალციხიდამ

ახალციხისკენ ცხრა სოფლის საზოგადოებაა. ეოფლის მთგანს ჰყაეს საკუთარი მამასახლისი და მწერალი. თითო საზოგადოებაში ხუთიდამ ათ სოფლამდეა. წელს, როგორც მთელს ჩვენს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, ახალციხესა და იმის მაზრაშიაც მოხდა ჯარის-კაცთა გაყვანა. ამ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლდა მხოლოდ ორი საზოგადოება, ეარნნისა და ადიგეენისა, რადგანაც იქ მხოლოდ თათრები მოსახლოობენ და თათრები ხომ საქართველოდგან არ გაჰყავთ ჯარის-კაცად. სამგიეროდ იგინი იხდიან ფულს, კომლზე ხუთს მანეთს წელიწადში. ნოემბრის ორში აქაურს „კრუჟოკში“ იყო კენჭის ყრა. შვიდის საზოგადოებიდამ გაიყვანეს 12 კაცი. კენჭი უყარეს 151-ს კაცსა.

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
ელდისა.	15	2	—	2
აწყვარისა	22	3	3	—
იდუმალისა.	12	—	—	—
ლეკისა	15	2	2	—
ურავლისა	15	1	1	—
ვალისა	68	4	2	—
[illegible]	4	—	—	—

ამისა გამო არ შეგეიძლიან არ ეესურეოთ, რომ ქართულ მეცნიერებას აღმოაჩენდნენ იმ გვარსაეე სიყვარულს, რა გვარიც აღმოაჩინა განსვენებულმა იმპერატორმა ნიკოლოზმა, რომელმაც პირველად ქართულ მეცნიერებაზე შესასწაელად ამ 50 წლის წინად დაარსა კათედრანი სამეცნიერო აკადემიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტშიო. მით უმეტესი საეუძველი აქეს ჩვენს სურვილსა, რომ ქართული მეცნიერება შეადგენს ერთ უაღრესს დარგს აღმოსაელეთის შესასწაელადაო.

II

შესაეალს გარდა, როგორადაც ზეეით მოეიხსენიეთ, „ცნობათა“ პირველ გამოცემაში მოყეანილია ისტორია ქართულ პიბლიისა, ესე იგი, სასულიერო შინაარსის წიგნთა თავგრაუნბსკის, დადიანის, ათონის და სხ. წიგნთ-საცავებისა; აგრეთვე ათონის ქართულ ხელ-ნაწერებისა და ძველად დაბეჭდილ წიგნთა დამატებით (ა, ბ, გ) ათონის ხელ-ნაწერებისა (ქართული ტექსტი), ქება-ქებათა განმარტებით (ქართული ტექსტი ათონის ბიბლიიდამ 978 წლისა) და პალეოგრაფიული „ტაბლიცა“ ქართულის წერის ნიმუშებით მე-VIII—XVI საუკუნეოებისა.

დაბარებულთა გარდა ურიცხეი გლეხკაცობა მოაწყდა ახალციხეს სოფლებიდამ. ესენი გაბლდნენ დედ-მამები და ძმები და ნათესაეები კენკოსაენი სა... ამ საცოდაეებს ბუზებიეით დაეცენენ თავს კუდა-„აბლაკატები“ და შენს მტერს, რომ იმათ დღე დაეჩიეს. დიაღ, ბატონებო, გამოუჩენენ გულ-შემატკიეარნი, რომელნიც ყოველს მთგანს ჰპირდებოდნენ შვილის თუნდ ნათესაეის გადარჩენას. ამ ეაკბატონებმაც თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს მათი გაჭირება და ტყეეი გააძრეს. ასე გასინჯეთ, თითქმის ყასბებმა და მეკედლებმაც დაიწყეს იგივე ხელობა და უკანასკნელს ტყაპუტსაც-კი აძრობდნენ უბედურებს ტანიდგან. მაგრამ მაინც იმათს მზესა ფიცულობდნენ ეს უბედურები და ამბობდნენ, ისინი არიან ერთად-ერთნი ჩვენი მხსნელნიო. შეიხწაელეს ყველამ თხოვნების ფორმა და ამაზ ეინ უფრო მეტს მუშტარს იშოვნისო... მიაწყდა „პრისუტსტვიას“ აუარებელი თხოვნები. მოდი და გაარჩიე... ძალიან გონიერულად მოიქცა აქაური მაზრის უფროსი, ბ-ნი ნ. ი. ალექსიეე-მესხიშვილი, რომელმაც, მიუხედაეად გამოკიდულის განცხადებისა, რომლებისაც გლეხებს არა გაეგებოდათ-რა, საყოველთაოდ გამოუცხადა ყველა კანონები ქართულად და სომხურად და ამასთანაეე დასძინა: „თქეე უგუნურებო, გატყუებენ, გაცდენენ და ტყეილ-უბრალოდ გართმეეენ ფულებს თხოვნების დაწერეისათეის. ნურას დაუჯერებთ იმათ და არც არაეის თხოვნას მიეიღებთ, რომელიც-კი უკანონონი იქმნებიანო“. გაიგეს გლეხებმაც, მაგრამ გეიანლი იყო...

ამაეე დღეში იყო კუდა-ადეკატებისაგან ახალციხის მდაბიო ხალხიც. მახლას, ცარცეა, გლეეკა და ყველეფა არც ახალციხელებს ასცდათ. ამ თთეის თორმეტს ახალციხელებმაც იკარეს კენჭი. აქედამ წაიყვანეს თხუთმეტი კაცი; კენჭი ორას ოთხმა იყარა. ამ 15 კაცში სამი ქართველი კათოლიკეა, ოთხი ურია და რეა სომეხი.

კენჭის ამოღებამდე „კრუჟოკში“ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მ. გრ.

იერის მონასტრის ქართულ ხელ-ნაწერებში, სხეათა შორის, მოხსენებულიაო: „ეიერიის მონასტერსა შინა არსებობს ბიბლია (ქართული) თარგმნილი წმ. ეეფთემესაგან (†1028წ.), რომელსაც აკლია წიგნი მაკაბელთა, ნაშთენი-კი სრულიაო. ამ მინაწერის ძალით ჰფიქრობდნენო, რომ ეეფთემეზე ადრე ქართველებს ბიბლია არა ჰქონიათო. მაგრამ მე, განაგრძობს ბ-ნი ცაგარელი, სამეგრელოს თავდის წიგნთ-საცავში ეპოეე პირი ათონის ბიბლიისა, რომელიც ახალ ნათელს ჰფენს ქართულის ბიბლიის ისტორიას საზოგადოდ. სხეათა შორის ცაგარელს ამოუკითხავს ამ წიგნზედ საკუთარის ხელით მინაწერი ცნობანი სამეგრელოს მთავრის დაეით დადიანისა, რომელიც ამბობს, რომ წიგნნი ქართულ ბიბლიისა ზოგი სრულნი არ იყვნენ, ზოგნი გარყვნილნი იყვნენო; მეფე არჩილმა (†1712 წ.) შეჰკრიბა იგინი ერთად და მეფე ბაქარმა-კი აღბეჭდა მოსკოვში 1743 წ. შემდეგ იმავე მინაწერიდამა სჩანსო, — საქართველოში გაიგეს, რომ ათონზედ არსებობს ქართული ხელ-ნაწერი ბიბლია და გაჰზავნეს იქ პლატ. იოსელიანი, რომელმაც იგი ბიბლია მოიტანა და დადიანმა ეს პირი გადმოაღებინა იოსელიანისაგან მოტანილ ბიბლიიდამაო.

ამ ბიბლიის გარჩეემ აღმოაჩინა, რომ იგი შესდგება 34 საღმთო წიგნისაგან, რომელთაგან ზოგიერთნი სრულნი არიან, ზოგიერთნი-კი არასრულნი (ზოგში აკლია რამდენიმე მუხლი, ზოგში თავნი და სხ.). ამ ბიბლიაში მოყეანილია წიგნი „ქებაქებათა“ სრულად. ამ წიგნმა მაშინითეე მიიქცია ჩემი ყურადღება და მისი პირი გადმოეაღებინე და „ცნობათა“ 1-ლ გამოცემაში სრულად დაებეჭდე განმარტებითაო.

„მეფეთა“ წიგნის ბოლოში წაეიკითხე: „უფალო, შეიწყალე იოანნე და თორნიკი (იოანე, ყოფილი თორნიკი) ლ პირველნი გადამწერნი ამ წიგნისა“. ბიბლიის ბოლოში კიდეე ამოეიკითხეთ: „ქრისტე, აღმადლე პატრიკი თორნიკი და ძენი მისნი, ამინ. ამინ... მე იოანნემ, ყოფილმა თორნიკი, ძმამან კურთხეულისა ჩორდეინელისამან, მოეიგე წმ. წიგნი ესე „მეფეთა“ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათეის და მოსახსენებელად სულთა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთათეის... ოდესცა ნამდვილი ბიბლია ესე დაწერილა, მაშინ

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთხელ კიდევ გაიმარჯვა კაცის წარმატებულმა გონებამ და ერთი სასწაული კიდევ დაჰბადა ამ საკვირველმა მეცხრამეტე საუკუნემ. ეს გამარჯვება და სასწაული ისეთია, რომ კაცს არა სჯერა და სწორედ სიზმარი ჰგონია. რა არის ეს გამარჯვება და სასწაულიო? იკითხავთ და ჩვენც ეხლავე მოგახსენებთ, რომ სასწაულია ამას წინად ედისონის მიერ მოგონილი და დღეს ბევრად უკეთ შეცვლილი და დამთავრებული ფონოგრაფი, რომელიც სწერს კაცის ლაპარაკს, სიმღერას და შემდეგ, თუნდ ასის წლის უკან, საოცარის სინამდვილით ლაპარაკობს, გალობს და მღერის სწორედ ისე, როგორც ჩაესმა ან ლაპარაკი, ან სიმღერა და ან გალობა.

აი რასა სწერს თვით ედისონი ამ საკვირველის მოგონების გამო:

ფონოგრაფი მოსვენებას არ აძლევდა ჩემს გონებას, თუმცა სხვა გვარი საქმე ათასი მქონდა. ვივლიდი, ვივლიდი და, მცირეოდენს თავისუფალს დროს ვიპოვნიდი თუ არა, კვლავ ამ ფონოგრაფის განკარგებაზედ დავიწყებდი ხოლმე ფიქრსა. რვა თვე ვიფიქრე ასე და ბოლოს შევასრულე ჩემი სურვილი. დღევანდელი ჩემი ფონოგრაფი უბრალო სათამაშო მოგონება-კი აღარ არის, როგორიც იყო წინანდელი, არამედ დიდად გამოსადეგი და ცხოვრებაში ფრიად გამოსაყენებელი იარაღია.

მალე მოვესწრობით,—ამბობს ედისონი, რომ ჩემი ფონოგრაფი სისწრაფით გავრცელებულიყოს დედამიწის ზურგზე. ახალ-წლის იანვრის გასულსვე 500 ცალი იქმნება მზად გასასყიდადაო.

მოხმარება ახალის ფონოგრაფისა სრულიად ადვილი საქმეა თურმე:

ვისაც სურს, მაგალითად, გაუგზავნოს ვისმე წიგნი (მოლაპარაკე წიგნი), მოჰმართავს ფონოგრაფს და დაიწყებს ლაპარაკს ჩვეულებრივის ხმითა და სისწრაფითა. როცა ამ სახით გაათავებთ იმის თქმას, რის მიწერაც გინდოდათ წერილითა, გამოიღებთ ფონოგრაფიდამ იმ რკინის ფირფიტას, რომელზედაც წერილი გადიბეჭდა, სდებთ პატარა ყუთში, ანუ კონვერტში და ჰგზავნით დანიშნულებისამებრ. ასეთ ფირფიტა-წერილს ფონოგრამა ჰქვიან. მიმღები წერილისა აიღებს ამ ფირფიტას, ჩასდებს თავის ფონოგრაფში და ისიც წაუკითხავს წერილს ისეთის გარკვევით, როგორც თვით წერილის მთქმელი ლაპარაკობდა.

წერილის გამგზავნის ხმა ისეთის გარკვევით თურმე ისმის, რომ ოცის კაცის ხმაში გამოარჩევთ. რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ წააკითხებთ წერილს ფონოგრაფსა. ამითი არც გაფუჭდება იარაღი და არც მოიშლება. შეიძლება ასეთი წერილი, როგორც ვთქვით, ასის წლის შემდეგაც წააკითხოთ. ხმა იმ კაცისა შეუცვლელი დარჩება. ანდერძი რომ ჩააგონოს ფონოგრაფს, გათავდა. ისეთის სიმტკიცით დაიცავს გარდაცვალებულის ხმას, რომ ვერავითარი საბუთი ვეღარ შეედრება ფონოგრაფით შენახულსა, თუნდა ასჯერ ხელ-მოწერილი და დაბეჭდილი იყოს, იმიტომ-რომ ხმა უფრო გამოქდავნებს კაცს, ვიდრე ხელის-მოწერა.

საცდელადაო, ამბობს ედისონი,—ასოთ-ამწყობთ ავაწყობინე ფონოგრაფის ნალაპარაკევი და ასოთ-ამწყობთაც სტამბაში მშვენივრად ააწყეს ფონოგრაფის ნათქვამიო. თუ რამ სიტყვა ვერ გაიგონა ასოთ-ამწყობმა, მეორედ და მესამედ შეუძლიან გაამეორებინოს. ამ სახით, ფონოგრაფის შემწეობით მწერალთ შეუძლიანთ თავიანთი ქმნილებანი ჩაასმინონ ფონოგრაფს და შემდეგ მისი ფირფიტა გაჰგზავნონ ასაწყობად სტამბაშიო.

მუსიკისათვის ხომ ფონოგრაფი დიდი ამბავია. რაც გინდათ სამღერალი და საგალობელი იყოს, შეგიძლიანთ ფონოგრაფს გააგონოთ ერთხელ და მერე მუდამ მზა იქმნება გაიმეოროს იმავე სიტკბოებით, სიცხადით და ეშხით, როგორც გააგონეთ პირველად. ჩვენებურის ბაიათებისა და შიქასტების მოყვარეთათვის ნამდვილი აღდგომა უნდა იყოს ფონოგრაფის ასეთი თვისება. მაინც ვემდურებით ევროპიულს ნოტებს, სპარსულს ხმებს, სხვა-და-სხვა ჩობან-ბაიათს, რაჰაბს, ქაბულს და სხვათ ვერ მიუდგაო და ახლა-კი ფონოგრაფის შემწეობით ასის წლის შემდეგაც შეიძლება მოსმენა ბეგლარბეგის ჩარაგსი და აბდულ-ბაყის შიქასტებისა. ფონოგრაფს რომ სათარასა და ევანგულასათვის მოესწრო, დღეს ამ სახელოვან მოთარე-მომღერლების ხმებს ისეთისავე ეშხით იტყოდა ფონოგრაფი, როგორითაც თვით სათარა და ევანგულა აგიქებდა ჩვენ მამა-პაპათ ამ ორმოციოდე წლის წინად.

ფონოგრაფსაო, ამბობს ედისონი, შეუძლიან მთელის ორკესტრის სიმღერა დაინიშნოს რკინის ფირფიტაზე და მერე ისე იმღეროს, რომ გაარჩიოთ ქნარური ცალკე, სალამური ცალკე და თითოეულის სხვა საკრავის ხმა კიდევ ცალკე. თუ იმღერებს ვინმე მუსიკასთან ერთად, იმ მომღერლის ხმასაც ისევე დაინიშნავს ფონოგრაფი ფირფიტაზე. რაკი ასეთი თვისება აქვს ფონოგრაფს, შეიძლება მთელი ოპერები დაინიშნოს ფირფიტაზე ასისა და ათასის წლის ვადით, სწორედ ისე, როგორც ან ორკესტრს დაუკრავს, ან მომღერალთ უმღერნიათ. ასეთი ოპერები შეიძლება ათი ათასჯერ გაიმეოროს ფონოგრაფმა. მაშინ შეიძლება იყიდოთ ოპერები პატის, მაზინის და სხვათა საკვირველ მომღერალთა მონაწილეობით და მოისმინოთ მათი სიმღერა, როცა გინდათ და სადა გინდათ. პატი შეიძლება გარდაიცვალოს, მაგრამ ამით ჩვენ მაინც შეგვეძლება გვექმნება მოვისმინოთ მისი სიმღერა რომელსამე ოპერაში, თუნდა ასის წლის შემდეგ.

ნუ თუ ოცნება არ არის ყოველივე ეს? ვიმეორებთ, კაცს სიზმარი ჰგონია, როცა ამისთანა ამბავი ესმის და ეძნელება დაიჯეროს ასეთი სასწაული. მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველივე ეს ოცნება და სიზმარი-კი არა, დაუჯერებელი ფანტაზია-კი არა, ნამდვილი ამბავია, ნამდვილი საქმეა კაცის ძლევა-მოსილის გონების ნამოქმედარი და მონაღვაწევი.

წვრილი ამბები

— ბერლინის სასახლეში უკველ დღე მიდის თურმე წერილები ქვეყნის ყველა მხრიდგან. ამ წერილებში სულ სხვა-და-სხვა ნაირ წამლებს ურჩევენ გერმანიის მემკვიდრე პრინცის მოსარჩენად; ზოგს წერილებში სამკურნალო საშუალებაა, ზოგში მინაწერილი და ზოგში კიდევ ლოცვებია.

— სერბიის დედოფალს ნატალიას, რომელიც ამ ჟამად ფლორენციაში ცხოვრობს, უკველ დღე მისდის თურმე წერილები ქმრისაგან, რომ დაბრუნდი ბელგრადში მემკვიდრე პრინცითურთაო. მეფე მიგზავნა სწერს, რაც შენ წასვედი, სასახლე დაიცალა და ამასთან შეუძლებელია, რომ დედოფალი ასე დაშორდეს სხვაგან იყოს, შორს თავის სამეფოდგანაო. ამ წერილების მიღების დროს დედოფალს სრულიად გულ-დამშვიდებით უთქვამს: „ჩემი ქმარი ორის წლით ადრე მაბარებს, ასე ხქარა მე იქ წასვლა არ შემიძლიანო“.

— სან-ფრანცისკოში აღმოუჩენიათ დიდ-ძალი ყალბი მოწმობანი, რომელიც ჩინელებს ეძლევათ ამერიკაში დასახლების ნების დართვის დროს. უკვე 10 ამასთანა მოწმობაზე 8 ყალბი ყოფილა თურმე. ამასთანა ყალბ მოწმობით ამერიკაში გადასახლებულა 8,000—10,000 ჩინელი. დამოყენის ზედა-მხედველები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ თურმე ამ მოწმობებით ვაჭრობაში, სამართალში მიუცათ.

— შვეციის მეფის შვილი, რომელიც საფრანგეთში მხატვრობასა სწავლობს, ამას წინად სანადიროდ წასულა; ნადირობის დროს შესულა ბუჩქებში ნადირის საძებნელად. ნადირობა გათავდა კიდეც თურმე და პრინცი-კი არა ჩანდა. დასასრულ გამოსულა პრინცი, სახეზე მკვდრის ფერი სდებია და წამოსასხამში რაღაცა ჰქონია გახვეული. „აი, რა ვიპოვნეო“, უთქვამს პრინცს აკანკალებულის ხმით. წამოსასხამში ერთის ახალგაზრდა ქალის გვამი ყოფილა შეხვეული, ქალს ყელზე თოკი ჰქონია; სატიდავს, როგორც ეტყობა, თავი ჩამოურჩვია ხეზედ. პრინცი ფულად საჩუქარს დაჰპირებია იმას, ვინც ამ ქალის გვარსა და სახელს შეიტყობსო.

— ინგლისში ბ-ნს სმერტალს განუზრახავს პირველის სარკინის-გზო თეატრის გამართვა; ეს თეატრი სულ ერთმანეთში გადაბმულს ვაგონში იქმნება მოთავსებული. სცენასა და დარბაზში სულ 50 კაცი უნდა დაეტიოს, მუსიკანტებისათვის-კი ცალკე ადგილი იქმნება დატოვებული. პიესების თამაშობა ისე იქმნება მოწყობილი, რომ სწორედ მაშინ შესრულდეს წარმოდგენა, როცა რკინის გზას დიდს სადგურთან მივლენ. ეს სარკინის-გზო თეატრი უპირველესად ლონდონის-მანჩესტერის ლიანდაგზე დაიწყებს თურმე მოქმედებასა.

— ლონდონში უპოვნიათ დიდი ბევრი მელინიტი; ეს მელინიტი ამერიკიდგან გაუგზავნიათ ინგლისში. ამ ბრძოლის მონაწილეს, ირლანდიის ამერიკელთ, კავშირს მასაჩუსეტსის და მარკანსის ფედერალისტებს დაჭერის დროს დინამიტი და ამერიკის ყალბი დამბაჩები ჰქონიათ.

— დედოფალს ვიქტორიას განუზრახავს, გერმანიის მემკვიდრე პრინცის მეუღლის სურვილის თანახმად, რომ რამდენიმე კვირა სან-რემოში გაატაროს.

— დღეიდგან დრეზდენი დანიშნულ ერთად-ერთ ადგილად, სადაც სიკვდილით დასასჯელნი უნდა დაისაჯნენ. დრეზდენში უნდა დაისაჯნენ ყველა ამისთანანი, საქსონიის რომელ ქალაქშიაც უნდა გადაწყვიტოთ სიკვდილით დასჯა.

— გერმანიის მემკვიდრე პრინცს ამ დღეებში მეტად საკვირველი კაცი ესტუმრება თურმე. ეს კაცი გერმანელია, გვარად დინდორფი, და ამერიკაში ცხოვრობს. დინდორფი ამერიკიდგან განსაკუთრებით იმიტომ წამოსულა ევროპაში, რომ მემკვიდრე პრინცს აჩვენოს თავისი ყანყრატო. საქმე იმაში მდგომარეობს თურმე, რომ ექიმებს გადაუწყვეტიათ, ვითომ დინდორფს კიბო აქვს გამოსულა ყანყრატოში და ნახევარი ყანყრატოსი ამოუჭრიათ კიდეც. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ნახევარ ყანყრატოს ამოჭრაც მოუწადინებიათ, მაგრამ დინდორფი არ დათანხმებულა და ექიმებს უწინასწარმეტყველნიათ, რომ უეჭველად მოკვდება ამ სატკივარით. ექიმების გარდაწყვეტილების წინააღმდეგ დინდორფი თავის კუთი ცხოვრობს თურმე აგერ... მეცხრე წელ-

---

ქორონიკონი ყოფილა რჲჱ (978)“. ამ ნაირად ამ მინაწერიდამ სჩანს, რომ წმ. ეფთვიმემდე, მოღვაწემდე ათონის მონასტრისა, და ათონის მონასტრის დაარსებამდე (980—982) უკეთუ არ ყოფილა დასრულებული თარგმანი სრულის ბიბლიისა, მარტო „მეფეთა“ წიგნისა მაინც ყოფილა.

ცნობილიაო, რომ პატრონი ამ ბიბლიისა თორნიკი 978 წ. მცირე აზიაში ებრძოდა აჯანყებულ ბარდა სკლეროსსა. ეს სკლეროსი თორნიკმა ქართველთ მხედრობის ძალით დაამარცხა და მეორე წელიწადს ამის შემდეგ (979 წ.) ხელ-ახლა დიდის საჩუქრებით დაბრუნდა ათონზედ და იოანნე იბერიელთან ერთად ჩაჰყარა საფუძველი ივერიის მონასტრისა ათონზედ და თვითონაც ბერად აღიკვეცა ამ მონასტერშიო.

შემდეგ ავტორს მოჰყავს ცნობანი სხვა-და-სხვა ხნის სახარებებზე. ყველაზე ძველ სახარებად აღმოჩენილა ოთხ-თავი მე-X ს., კუთვნილი პეტერბურგის სახალხო წიგნთ-საცავისა. მინაწერი ამ სახარებისა ამბობს: „უფალო იესო, ქრისტე, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, ადიდე შენსა ზეცისა სასუფეველსა შენ მიერ გვირგვინოსანი მეფე ჩვენი დავით კუროპალატი. ესე სახარება დაიწერა მათსა ზეობასა ხელითა ორთა მწერალთათა, დავითისათა და არქიპოსისათა“. დავით კურატპალატი აღესრულა 1001 წელსა. მეორე წარწერა: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყდარსა შინა ტბეთისასა, საყოფელსა წმიდათა მოციქულთასა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა, ქორონიკონსა სიე (215—995 წ.) ხელითა ორთა მწერალთათა: დავით გლახაკისათა და გლახაკისა არქიპოსისათა... და შეიმოსა (ესე იგი დაიკაზმა) ხელითა სანატრელისა მღვდლისა სტეფანესითა“.

ამ წარწერიდამ სჩანსო, ბრძანებს ცაგარელი, რომ ეს სახარება დაიწერა ტბეთში 995 წ. დავით და არქიპოსისაგან მეფობასა დავით კურატპალატისა. აქ, არ ვიცი რისთვის, ცაგარელი არ აღნიშნავს თავის მხრით იმ ფაქტს, რომ ხსენებული მეფე დავითი ქართლის ცხოვრებაში და საზოგადოდ ჩვენს მატიანეებში არ იწოდება მეფედ, არამედ მარტო კურატპალატად. „წერა-კითხვის“ წიგნთ-საცავში დ. ზ. ბაქრაძეს აღმოუჩენია ერთი ძველი საგალობელი, რომელშიაც იგივე კურატპალატი დავით იწოდება მეფეთა მეფედ.

„ცნობათა“ ავტორს ფრიად საინტერესო, მაგრამ დღემდე მცირედ ცნობილი, ან სრულად უცნობი თხრობანი მოჰყავს აგრეთვე სხვა ხელნაწერებზედაც სხვა-და-სხვა სალმთო წიგნებისა, წმიდათა ცხოვრებაზე, სალმთო წიგნების გადმომღებლებზე, ქართულ წიგნებზე, ალაპებზე პატივად სხვა-და სხვა მოღვაწეთა და შემწირველთა, მოგზაურებზე, რომელთაც მიმოუვლიათ ათონი და სხვა მონასტერნი და აღუწერიათ იგინი; სხვათა შორის ეპისკოპოს პორფირიზე, გრიგოროვიჩსა, ვიქტოროვსა და ათინის უნივერსიტეტის დოცენტს ლამბროზაზე და სხ. ამ ლამბროზას 1880 წ. განუხილავს წიგნთ-საცავნი ათონის მონასტრებისა და მათგან ყველაზე მდიდარი წერილობით ნაშთებითა აღმოჩენილა ივერიის მონასტერი, საცა მხოლოდ ბერძნულ ენის ხელ-ნაწერნი 1386 წლისა ყოფილა.

თვით ცაგარელის მიერ შედგენილ ივერიის კატალოგში ნაჩვენებია 92 სხვა-და-სხვა ნაირნი წიგნნი. მრავალი მათგანი ფრიად იშვიათნი არიანო.

ქება-ქებათა ათონის ბიბლიისა რომ შეუდარებია ცაგარელს სომხურ, სლავიანურ და სხ. ენათა თარგმანებთან, აღმოჩენილა, რომ იგი წიგნი ქება-ქებათა ქართულად გადმოუღიათ ბერძნულიდგან.

ამას გარდა ათონის ბიბლიის ქება-ქებათა შედარებიდამ მოსკოვში გამოცემულს ქართულს ბიბლიასთან მცირე განსხვავება არ აღმოჩნდაო; მაგ. ათონისაში, რომელიც გაყოფილია თავებად და არა მუხლებად, აკლია რამდენიმე ლექსი და სხ.; მოსკოვის თარგმანი-კი საზოგადოდ სრულია, მაგრამ მასშიაც აკლია რამდენიმე სიტყა და წინადადება, რომელნიც მოიპოვებიან ათონისაში და რომელნიც შეეთანხმებიან ბერძნულ ბიბლიის ტექსტსა. ენა ათონისაში უფრო სწორეა, თარგმანი უბრალოა, ნაკლებად მონური და სიტყვა-სიტყვითია და მეტად შესაფერია ქართულის ენისა, მინამ ენა მოსკოვის გამოცემისა; ეს აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ რედაქტორნი და გამომცემელნი ამ ბიბლიისა ტექტის აღსადგენად ხმარობდნენ სლავიანურ თარგმანსა, რომელსაც იგინი ანუ სიტყვა-სიტყვით სთარგმნიდნენ, ანუ შეცდომით, რადგან სლავიანური ენა სუსტად იცოდნენ. მაგ., სიტყვა სლავიანურის ბიბლიისა „польный“, ესე იგი полевой (მინდვრისა), მოსკოვის ბიბლიის რედაქტორებს ესმით როგორც „полный“ (სავსე) და ამიტომ „მე ყვავილი მინდვრისა“ უთარგმნიათ ასე: „მე ყვავილი სავსე“. ამისთანა შეცდომებს მოსკოვში გამოცემულ ბიბლიისას ცაგარელი თავის განმარტებაში ათონის ბიბლიის ქება-ქებათაში უჩვენებს არა ერთსა.

პალეოგრაფიულ „ტაბლიცაში“ მოყვანილია ნიმუშები წერისა 978 წ., VIII—XI სს., X, XI, XIV—XVI სს.

ამ პალეოგრაფიულ „ტაბლიცის“ ერთის ნიმუშის შესახებ ბ-ნი ცაგარელი წიგნის შესავალში შენიშნავს, რომ ეს წერა ჰგავს აბისინიურსა ანუ კოპტურსაო, და იმას-კი აღარ განმარტავს, თუ რა მიზეზითა ჰგავს ჩვენებური ხუცური აბისინიურ ანბანსა*).

ტფილისში ცაგარელის წიგნი ღირს ერთი მანათი და ათი შაური.

ე—მ

*) ამისთანა განმარტება იხ. ჩვენს წერილში („ივერია“ № 115) „რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი“.

ლიწადია და ჯერ სასიკვდილო-კი არა ეტყობა-რა!

— ჩქარა ზარბაზნები სრულიად საჭირო აღარ იქმნება და გააუქმებენ. საჭირო არ იქმნება იმიტომ-კი არა, ვითომ ქვეყნად საუკუნოდ მშვიდობიანობის დრო დამდგარიყოს, არამედ იმიტომ, რომ ახალი კაცთა მმუსრავი და მჟლეტავი იარაღი მოუგონიათ ზარბაზნის მაგივრად. ბალტიმორიდგანა სწერენ გაზ. „Gaulois“-ს, რომ ერთმა ამერიკელმა ისეთი საომარი იარაღი მოიგონა, რომელთანაც შედარებით კრუპპის ზარბაზნები გროშად არა ღირსო. ეს იარაღი ელექტრონით არის მოწყობილი, ზედ ექვსი კაცი უნდება და 500 საჟენზედ მთელის რაზმის ამოჟლეტა შეუძლიანო. გამომგონს ეს იარაღი რამდენისამე კაცის თანადასწრებით უცდია ხარის ჯოგზე და იარაღს თვალის დახამხამებაზე სულ სინსილა გაუწყვეტნია ხარებისა. თითონ გამომგონს უსრილია და ცოცხალი დარჩენილა—არა დაშავებია-რა.

გასართობი

გერმანიის გაზეთები სავსეა ამ ჟამად წერილებითა და სხვა-და-სხვა ამბებით ავადმყოფ მემკვიდრე პრინცზე; ამ წერილებში მოყვანილია ამბები მემკვიდრე პრინცის ცხოვრებიდგან. აი ერთი მაგალითი იმ დროისა, როცა მემკვიდრე პრინცს პირველი გაჟიშვილი—ვილჰელმი მისცემია.

მემკვიდრე პრინცს ყოველთვის უყვარდა თურმე ხუმრობა, მახვილ-სიტყვაობა და პირველის ვაჟის დაბადების დროს ხომ მეტად მხიარულს გუნებაზედ ყოფილა. ერთხელ სასახლეში მისულან დეპუტატები ბერლინის მოქალაქეთაგან რაღაც საქმისათვის. მემკვიდრე პრინცს დეპუტატთა სასიამოვნებლად გამოუყვანია თავის ერთის წლის ვაჟი და უჩვენებია. ერთს ბერლინელს ყმაწვილისათვის თავისი საათი მიუცია სათამაშოდ. ყმაწვილი დაბლაუჭებია საათსა და აღარ აძლევს თურმე პატრონს. საათის პატრონს ეს ამბავი ცოტა არ იყოს სწყენია. მემკვიდრე პრინცს შეუნიშნავს ესა და უთქვამს:

—აი, ხომ ჰხედავთ! თუ გოგენცოლლერნის გვარეულობისამ ერთი-კი წაავლო რასმე ხელი, ადვილად ველარ გამოართმევთო.

**

მეორე ამბავი უფრო უკეთესია.

პატარა პრინცს—შვილს მემკვიდრე პრინცისას სუფთაობა არა ჰყვარებია და ხშირად გამოვარდებოდა თურმე გარედ და ან სასახლის ბაღში პირ-დაუბანელი. პრინცს ის ართობდა და ახარებდა, რომ დარაჯნი პატივს აძლევდნენ ისე, როგორც იმის მამას, და მაშინვე თოფებს გვერდზე მიიწყობდნენ, დაინახავდნენ თუ არა. მემკვიდრე პრინცს გაუგია ესა და უბრძანებია დარაჯისათვის, რომ დროებით პრინცს ნურავითარს შესაბამს პატივს ნუ სცემთო. ყმაწვილს ძალიანა სწყენია დარაჯთაგან ასეთი საქციელი, პატივ-უცემლობა, წასულა და მამასთან უჩივლია. მემკვიდრე პრინცს ყურადღებით მოუსმენია პატარა პრინცის საჩივარი და შემდეგ გულმშვიდად უკითხავს:

— ჯერ ერთი ამის პასუხი მომე, ვილლი, დღეს პირი დაიბანე, თუ არა?

ყმაწვილი წამოწითლებულა და თავი გაუქნევია უარის ნიშნად. მაშინ მამას ასე დაურიგებია:

— ჰო, მაშ თუ ეგრეა, ჯარის-კაცები სრულიად მართალნი ყოფილან; პირ-დაუბანელს პრინცს ჯარის-კაცი თავის დღეში პატივს ვერა სცემსო.

ამ სიტყვებს ისე უმოქმედნია თურმე, რომ მას შემდეგ პრინცი ერთხელაც აღარ უნახავთ პირ-დაუბანელი.

**

რაკი ბაასი გოგენცოლლერნების გვარზე ჩამოვარდა, მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვა გერმანიის მემკვიდრე პრინცის შვილიშვილზედაც გვთქვათ:

პრუსიაში ყველაფერს იარაღისა და რკინის სუნი უდის. მოხუცებულნი საომარ ლექსებს მღერიან და ყმაწვილებიც ამ ლექსებს იმეორებენ. ამასთან გოგენცოლლერნების გვარი განთქმულია თავის მეომრობითა და სიმამაცითა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამას წინად ყველაზედ უმცროსი გოგენცოლლერნი, მემკვიდრე პრინცის შვილი-შვილი, პრინცი ვილჰელმი, მისულა თავის პაპის მამასთან, გერმანიის იმპერატორ ვილჰელმთან, და უთხოვნია:

გთხოვთ, სეირნობის დროს ვილაცა ქალები არ გამომაყოლონ ხოლმე, რადგან დედაკაცების დიდინა სიარული საშინლად მეჯავრება; დამინიშნეთ რომელიმე ჯარის-კაცი, რომელმაც ნაბიჯის გადადგმა წესიერად იცის და რომელთანაც სეირნობა სასიამოვნოაო.

ამ სიტყვებს ძალიან გაუმხიარულებია მოხუცი იმპერატორი და სიამოვნებით დასთანხმებია თავის პაწია შვილი-შვილი-შვილის სურვილს. იმპერატორს უკვე დაუნიშნავს პრინცთან სასეირნოდ ერთი მეტად მოხერხებული და კარგის აგებულების ახალგაზდა ჯარის-კაცი.

დეპეშა

25 ნოემბერი

პეტერბურგი. პეტერბურგის საქალაქო საბჭომ საჭიროდ სცნო სენატის წინაშე საჩივარი დაიწყოს იმის თაობაზე, რომ პეტერბურგის საქალაქო „პრისუტსტვიამ“ უარ-ჰყო საბჭოს დადგენილობა, რომლის ძალითაც პურის თითო ცალზე, პეტერბურგში გემებით შემოტანილზე, უნდა ეხდევინებინათ ორი კაპიკი.

ბრიუსელი. როგორც ისმის, იმ სათინანსო დასმა, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა ბოლგარიასთან სესხის თაობაზე, შესწყვიტა ეგ მოლაპარაკება იმის გამო, რომ სოფიაში საქმეთა გარემოება მკვიდრი არ არისო.

ვენა. ეპისკოპოზის ეპისტოლე გორიცის ეპარქიის მიმართ ეწინააღმდეგება იმ თხოვნას, რომლის ძალითაც კათოლიკეთა ეკკლესიებში წირვა შემოღებულ უნდა იქმნას სლავიანურს ენაზე. ამ თხოვნის შემდგენელნი იმუქრებიან: მართლმადიდებლობაში გადავალთ, თუ რომ ჩვენი თხოვნა შეწყნარებული არ იქმნაო.

ბერლინი. კომისიამ, რომელმაც განიხილა პროექტი შესახებ პურის ბაჟისა, შესცვალა მართებლობის პროექტი შესახებ წმინდა პურისა, ჭვავისა და ქერისა; აგრეთვე შეცვლილ იქმნა პროექტის ზოგიერთა სხვა მუხლები. პროექტის განხილვა ჯერ არ დაუსრულებიათ, კომისიას იმედი აქვს სრულიად შესთანხმდეს იმ დროისათვის, როცა კანონ-პროექტი მეორედ წაკითხული უნდა იქმნას.

26 ნოემბერი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებისამებრ, ჩვენი მთავრობა ოფიციალურად მიიღებს მონაწილეობას კოპენჰაგენის გამოფენაში 1888 წელს. ამისათვის ფინანსთა სამინისტროში შესდგება ცალკე კომისია, რომელმაც უნდა გამართოს რუსეთის განყოფილება გამოფენაზე, ხოლო ადგილობრივ სხვა-და-სხვა განკარგულებათათვის, ვითარცა უფროსი კომისარი, დაინიშნება განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე სამინისტროსი, კამერგერი გლუხოვსკი. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს გამოფენაში, შეუძლიანთ მიჰმართონ დეპარტამენტს ვაჭრობისას. წესი და რიგი ექსპონენტებისათვის შემდეგ იქმნება გამოცხადებული.

გაზ. „Новости“-ს ცნობას ახალ ტარიფის თაობაზედ პურის გადაზიდ-გადმოზიდვისათვის უარ-ჰყოფენ გაზეთები და თვით „Новости“-ც.

ვენა. იმ ცნობათა გამო, რომელიც გაზეთებმა გვაუწყეს, ვითომ რუსეთს ჯარები გაუძლიერებია საზღვრებზე და ამის გამო სახელმწიფონი, რომელთაც ეს შეეხება, ვითომ შეჰკითხებიან რუსეთსაო, გაზეთი „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ ვენის ხელ-მძღვანელთა შორის ამ შეკითხების თაობაზედ არა ისმის-რაო.

პარიჟი. ახალის სამინისტროს შედგენა ჰჭოვნდება; ფალიერმა გადაწყვეტილი უარი სთქვა და ამის გამო სადი-კარნომ გობლეს მიჰმართა.

პეტერბურგის ბირჟა, 24-ს ნოემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

	მყიდვე-ლისა	გამყიდ-ველისა	გაყიდუ-ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— »	— »	9
ტამოჟნის კუპონები . .	— »	— »	$179^{3}/_{4}$
მანათიანი ვერცხლის ფული	— »	— »	1 32
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— »	278
— მეორისა	— »	— »	248
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა . .	— »	— »	— »
ქუთაისის ბანკისა . . .	— »	— »	— »
ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა	— »	— »	— »

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

27 დღე პარასკევი. მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

ნ უ ს ხ ა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის

გირავნობის ფურცელთა,

გამოსულთა მეოც-და-ორე ტირაჟში, რომელიც მოსდა

1 ნოემბერს 1887 წლისა,

რიცხვით 83,000 მანათისა.

ა) $43^{1}/_{2}$ წლის ვადით:

1000 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . . № 53.

500 მან. ღირსებისა

5 სერიისა . . . . . . № 24.

შემდეგის სერიებისა . №№ 373, 386 და 445.

100 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . . . . . № 14

3 „ . . . . . . №№ 3 და 67

4 „ . . . . . . „ „ 27, 31 და 37.

6 „ . . . . . . „ „ 93, 99, 121 და 187.

7 „ . . . . . . „ „ 91, 114, 198 და 208.

შემდეგის სერიებისა . . „ „ 970, 1011, 1014, 1031, 1050, 1053, 1066, 1090, 1112, 1115, 1131, 1139, 1178, 1221, 1279 და 1292.

ბ) $18^{7}/_{12}$ წლის ვადით:

1000 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . . . . . №№ 19 და 33.

3 „ . . . . . . „ „ 29

4 „ . . . . . . „ „ 19 და 37.

6 „ . . . . . . „ „ 14

7 „ . . . . . . „ „ 60 და 93.

შემდეგის სერიებისა . . „ „ 380, 396, 410, 507, 568, 580, 641, 705, 709, 728, 739, 750, 874, 879, 920, 932, 986, 992, 1029, 1067, 1117, 1126, 1183, 1223, 1234, 1492, 1593, 1673, 1687, 1697, 1730, 1762, 1768, 1830, 1859, 1860, 1865, 1867, 1934, 2030, 2113, 2245, 2268, 2316, 2326, 2346, 2348, 2422, 2510, 2534 და 2562.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . . №№ 50

4 „ . . . . . . „ „ 22, 28, 38, 40 და 42.

5 „ . . . . . . „ „ 7.

7 „ . . . . . . „ „ 46 და 73.

შემდეგის სერიებისა . . „ „ 287, 332, 340, 349, 351, 426, 492, 528, 559, 620, 628, 638, 711, 747 და 815.

100 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . . №№ 61.

4 „ . . . . . . „ „ 16, 31, 40, 47, 56, 66, 71 და 72.

7 „ . . . . . . „ „ 57, 73, 118, 154, 171, 173, 257, 269, 320, 323, 336, 342 და 347.

შემდეგის სერიებისა . . „ „ 785, 831, 854, 902, 945, 964, 1036, 1038, 1043, 1097, 1168, 1171, 1188, 1222, 1283, 1373, 1389, 1416, 1427, 1447, 1457, 1536, 1549, 1609, 1641, 1648, 1771, 1786, 1812, 1849, 1907, 1942, 1969, 2085, 2088, 2101, 2128, 2160, 2180, 2183 და 2186.

სხოლიო:

1) ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ მეოც-და-ორე ტირაჟში გამოვიდნენ, და აგრეთვე მიმომდინარე კუპონებზედ, დაიწყება 1888 წლის 2 იანვრიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქმნება ზემოხსენებულ ფურცლებზე სარგებლის ძლევა.

2) გირავნობის ფურცლებს ფულის გადახდის დროს თან უნდა ჰქონდეს ყველა კუპონები იმ დროისა, რა დროც ზემოდ არის ნაჩვენები; თუ კუპონები სულ არ იქმნება და აკლდება, მაშინ დაკლებულ კუპონების ფასი გირავნობის ფურცელთა ღირებულ ფულიდგან გამოირიცხება.

3) ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზე და აგრეთვე ამ ფურცელთა კუპონებზე ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს ბანკის გამგეობაში. შეიძლება აგრეთვე ს.-პეტერბურგს სახელმწიფო ბანკსა და ბ-ნ ვაველბერგის საბანკირო სახლში და ამას გარდა სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

4) ამ ნუსხაში ნაჩვენებია ნუმრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნუმრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგს სერიებში, რადგან დაწყებული, სერიების ნუმრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნუმრები ერთი-ერთმანერთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა

Дов. цен. Тиф. 26 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.